№16/26419 16 10 2014

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს

თანხმობა უძრავ ნივთის მონაცემებში ცვლილების/დამატების რეგისტრაციაზე

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა, რომ სს „საქართველოს ბანკი"-ს უფლების საგანზე (მესაკუთრე: შპს „კოკა–კოლა ბოთლერს ჯორჯია" (ს/კ 201948063), მისამართი: ქ. თბილისი, გამზირი აკ.წერეთელი #114, მიწის ნაკვეთის ფართობი 27185.00 კვ.მ. (დაზუსტებული) და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობები, ნაკვეთის წინა ნომერი #01.13.05.003.002, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.13.05.003.006), რეგისტრირებულ მონაცემებში შევიდეს შემდეგი ცვლილება/დამატებები: განხორციელდეს #18 და #19 შენობა–ნაგებობების დემონტაჟი და მათ ადგილას აშენდეს კაფე–ბარი. ამასთან, იმ პირობით, რომ სს „საქართველოს ბანკი"-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლებები (უფლების რეგისტრაციის თარიღი: 06.04.2011, იპოთეკის ხელშეკრულება #768293-768294-768295-768296-768306-768305-001017-707876-513488-626324-707361-524403-ა-ლ, რეესტრის ნომერი #100961954, დამოწმების თარიღი: 23.09.2010, ნოტარიუსი პ.შენგელაია. შეთანხმება #1 იპოთეკის ხელშეკრულებაში #768293-768294-768295-768296-768306-768305-001017-707876-513488-626324-707361-524403-ა-ლ ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე, რეესტრის ნომერი #110112178, დამოწმების თარიღი: 08.02.2011, ნოტარიუსი პ.შენგელაია) შენარჩუნდება, როგორც მიწის ნაკვეთზე, ასევე მასზე განთავსებულ ყველა დანარჩენ შენობა–ნაგებობაზე.

პატივისცემით,

თამარ ჯანიაშვილი

კორპორატიული საბანკო მომსახურების
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Phone: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.bog.ge

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ამონაწერი

ამონაწერი: 23/9/2014 - 23/9/2014

ინფორმაცია ამონაწერის შესახებ

ანგარიშის ნომერი	ანგარიშები	ბარათები	ძირითადი ვალუტა
CHICHINADZE LALI	GE80BG0000000333174000 GBP GE80BG0000000333174000 GEL GE80BG0000000333174000 USD GE80BG0000000333174000 EUR	მასტერ-ქარდი Master Card Debit (Contactless)(3822)	GEL ანგარიშის ტიპი მულტისავალუტო

თარიღი	აღწერილობა	GEL	USD	EUR	GBP
საწყისი ნაშთი ძირითად ვალუტაში		142.42 GEL			
საწყისი ნაშთი		142.32	0.06	0.00	0.00
23/9/2014	გადახდა 31.15 GEL, LTD T&K RESTAURANTS, თარიღი: 22/09/2014, ბარათი: ****3822	-31.15			
23/9/2014	გადახდა 69.00 GEL, TBILISI ARCHITECTURE- IMB, აბონენტი: 714853551;AR1252153BP, თარიღი: 22/09/2014, ბარათი: ****3822	-69.00			
საბოლოო ნაშთი		42.17	0.06	0.00	0.00
საბოლოო ნაშთი ძირითად ვალუტაში		42.27 GEL			



ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1633529

ნომერი: AR1264997

თარიღი : 11.11.2014

გაცემის თარიღი : 10.12.2014

გაცნობის თარიღი : 11.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 114 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლ ხელაძე პ/ნ 01019011533
- თბილისი ნ.გოცირიძის ქ. N 19

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 07.03.2014 წ. #1129890 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე;

მოქალაქე გრიგოლ ხელაძემ 11.11.2014 წ. #AR1264997 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 07.03.2014 წ. #1129890 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 07.03.2014 წ. ქ. თბილისში, გამზირი აკ. წერეთელი #114-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.13.05.003.006, ფართობი 27185 კვ.მ.) საწყობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #1129890

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 07.03.2014 წ. #1129890 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატებასთან დაკავშირებით, კერძოდ: საწყობისა და საზოგადოებრივი–კვების ობიექტის (კაფე–ბარი) დაფიქსირებას.

სამსახურის 07.03.2014 წ. #1129890 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია სამრეწველო ზონა 1 (ს–1), საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 07.03.2014 წ. #1129890 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.03.2014 წ. #1129890 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: საწყობი და საზოგადოებრივი–კვების ობიექტი (კაფე–ბარი);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.03.2014 წ. #1129890 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.